LLC Regional Healthcare Center
Digitally signed by LLC Regional Healthcare Center
Date: 2021.03.01 12:42:18 +04'00'

გაძაოტივებული შესყიდვის ...
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №59/13

ქ. თბილისი 1/თებერვალი/2021 წელი

ეს დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დაიდო 2021 წლის 1 თებერვალს 2021 სახელმწიფო შესყიდვების გეგმის (სახსრების) შესაბამისად, „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N828 დადგენილების, ხელშეკრულება Nსე/12/11–0003/21 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ SMP210000180 და სახელმწიფო შესყიდვების თავმჯდომარის 2021 წლის 28 იანვრის N244 განკარგულების (SMP210000180) საფუძველზე, დაფინანსების წყარო – სპეცდაფინანსება.

ხელშეკრულების მხარეები

ერთი მხრივ შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (ს/კ 236035517) – ხელმძღვანელობაზე /წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორი ნუგზარ ბოლქვაძე (პ/ნ 01008008307) (შემდგომში „შემსყიდველი“) მისამართი: თბილისი, მ. ასათიანის ქ. N9 და მეორე მხრივ, ცარო ბუწანჯალური (ს/კ 23001011017), (შემდგომში მიმწოდებელი) „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) –შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.

1.3. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის სახელმწიფო შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს CPV –85100000 - ჯანდაცვის სფეროს მომსახურებები (შემდგომში - მომსახურება), კერძოდ: „2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის N828 დადგენილებით (შემდგომში – „დადგენილება“) დამტკიცებული „სოფლის ექიმის“ (დანართი N17.1, N17.1.2 და N17.1.3) სახელმწიფო პროგრამის (შემდგომში - „პროგრამა“) ფარგლებში გათვალისწინებული სამედიცინო მომსახურების განხორციელება სოფლის ექიმის მეშვეობით თიანეთის მუნიციპალიტეტში, მომსახურების ერთი თვის ღირებულება შეადგენს 755 ლარს.

2.2 მომსახურების მიწოდება უნდა განხორციელდეს თიანეთის მუნიციპალიტეტში 2021 წლის იანვრიდან 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 9060 ლარს (ცხრაათასსამოცი);

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. მომსახურების ღირებულების ანაზღაურება განხორციელდება მითითებული ღირებულების შესაბამისად, უნაღდო ანგარიშსწორებით, მომსახურების მიწოდების შემდეგ, შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმების საფუძველზე, სსიპ – „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“-ს მიერ ამ პროგრამით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურებიდან 5 სამუშაო დღეში.

5. ხარისხი

5.1 მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ წესებს.

6. მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მხარეთა მიერ გაფორმებული შესაბამისი (მიღება–ჩაბარების აქტი) დოკუმენტაციის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერის შემდეგ.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:
ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის
ინსპექტირება.
7.2. შემსყიდველი ვალდებულია:
ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით
გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
ა) მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით
გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) შეასრულოს ნაკისრი ვალდებულებები მოქმედი ნორმებისა და წესების დაცვით, სათანადო ხარისხითა და
სრული მოცულობით იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულებაში.
ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს საქართველოს მოქმედი
კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით;
გ) ზედმიწევნით და განუხრელად დაიცვას „დადგენილების" და წინამდებარე ხელშეკრულების პირობები;
დ) სისტემატურად აწარმოოს სამედიცინო დოკუმენტაცია დადგენილი წესების შესაბამისად;
ე) შესაბამისი საანგარიშგებო დოკუმენტაცია წარადგინოს შემსყიდველთან არაუგვიანეს შესრულებული სამუშაოს
მომდევნო თვის 7 რიცხვისა;
ვ) პირადად ან წარმომადგენლის მეშვეობით, დაუყოვნებლივ და წერილობით აცნობოს შემსყიდველს,
მომსახურების გაწევის შემაფერხებელი საპატიო გარემოებები, მათ შორის, დროებითი შრომისუუნარობის ფაქტი
და ამ გარემოებების შესაძლო ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც შემსყიდველი უზრუნველყოფს მის
ჩანაცვლებას ან ახალი მიმწოდებლის შერჩევას;
ზ) უზრუნველყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადის გადახდა და არ მოსთხოვოს
შემსყიდველს მომსახურების ღირებულების გარდა, არავითარი გადასახადის ან დამატებითი თანხის გადახდა;
თ)შემსყიდველის მოთხოვნისას, წარუდგინოს მას მომსახურების განხორციელებასთან დაკავშირებული
ნებისმიერი დოკუმენტაცია.
ი) შემსყიდველს წარუდგინოს შესრულებული სამუშაოს შესახებ დოკუმენტაცია, საქართველოს კანონმდებლობით
გათვალისწინებული წესის სრული დაცვით;

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის
მიერ გამოყოფილი პირი ან პირთა ჯგუფი.
8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გასაწევი
მომსახურების მიწოდების ვადებისა, ხარისხის და ხელშეკრულებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობის
კონტროლს.
8.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება
მიმწოდებელს.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად
იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის,
გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების
პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
9.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი
ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე. ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც
ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.
9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე
მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა
აცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული
საშუალებების გამოყენებით.
9.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით
გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი)
ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი
ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10.2. თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებ… დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

10.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

11. მხარეთა პასუხისმგებლობა

11.1. ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, კერძოდ, თუ მხარეები ხელშეკრულებით გათვალისწინებულ დროში ვერ შეასრულებენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს, დადგება მათი პასუხისმგებლობა, რომელიც განისაზღვრება პირგასამტეხლოს სახით, კერძოდ: შეუსრულებელი ვალდებულების 0,1%–ის ოდენობით ყოველ გადაცილებულ დღეზე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 31 იანვრის ჩათვლით.

14. სხვა პირობები

14.1. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3 (სამი) ეგზემპლარად (ორი შემსყიდველს, ერთი მიმწოდებელს).

მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
შპს „რეგიონული ჯანდაცვის ცენტრი“ (ს/კ 236035517)	ცარო ბუწანკალური (ს/კ 23001011017)
ხელმძღვანელობაზე /წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი – დირექტორი ნუგზარ ბოლქვაძე	ცარო ბუწანკალური T 593993326
საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიშის ნომერი: GE86LB0113112241617000	საბანკო რეკვიზიტები: „ლიბერთი ბანკი“ ბანკის კოდი: LBRT GE 22 ანგარიშის ნომერი: GE52LB0711112110263001

236035517